STREAM

საზოგადოების ჩართულობის გეგმა

2016 – 2021

treat TB

ტექნოლოგია, კვლევა, განათლება,
და ტუბერკულოზის ტექნიკური დახმარება

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

Vital Strategies
AN AFFILIATE OF THE
International Union Against
Tuberculosis and Lung Disease

მიმოხილვა

კლინიკური კვლევის ჩატარებისას საზოგადოებაში, ჩნდება საზოგადოებრივი სტრუქტურების ჩართვის საჭიროება. დაგეგმილმა კვლევამ უნდა დააკმაყოფილოს საზოგადოებაში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროება. ამასთან ერთად, საზოგადოების წევრებს უნდა ჰქონდეთ კვლევის ეთიკის ნორმების და მარეგულირებელი მექანიზმების მოთხოვნების შესახებ გარკვეული წარმოდგენა. ამის გააზრებულად მისაღწევად უნდა დამყარდეს გაზიარებული და სანდო კომუნიკაციის სტრუქტურა საზოგადოებრივი ჩართვის (CE) გეგმის მიხედვით.

ბევრ საზოგადოებაში რეზისტენტული ტუბერკულოზის (MDR-TB), შესახებ ცოტა რამაა ცნობილი, მათ შორის ისეთ საზოგადოებებში, სადაც ტუბერკულოზის (TB) მაღალი მაჩვენებელია. MDR-TB-ის არსებული სტანდარტული მკურნალობის რეჟიმი 24 თვემდეა და მასში შედის კუნთში ყოველდღიური ინექცია, რომლის სერიოზული გვერდითი ეფექტი სმენის დაკარგვაა. მკურნალობის მიმდინარე სტანდარტი დამყარებულია ექსპერტების აზრზე და არა რანდომიზირებულ კონტროლირებულ კლინიკურ კვლევებზე. მიმდინარე რეჟიმი წარმოადგენს მნიშვნელოვან ვალდებულებას როგორც პაციენტებისთვის, ასევე ჯანდაცვის სისტემებისთვის, რომლებსაც ევალებათ მკურნალობის ჩატარება.

1 სტადიის STREAM წარმოადგენდა პირველ რანდომიზირებულ კონტროლირებულ კლინიკურ კვლევას ახალი 9-თვიანი MDR-TB მკურნალობის რეჟიმისთვის. ამ სტადიის შედეგები ხწლმისაწვდომი იქნება 2017 წლის ბოლოსთვის. მეორე სტადიის დროს მოხდება ახალი ანტი-ტუბერკულოზური მედიკამენტის ბედაქვილინის ტესტირება ორ ახალ რეჟიმში: 6-თვიან რეჟიმში და სრულად პერორალურ 9-თვიან რეჟიმში. შედეგები 2021 წლისთვისაა მოსალოდნელი.

STREAM საზოგადოების ჩართულობის გეგმა წარმოადგენს იმ გზას, რომლის მიხედვითაც ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს შორის (მაგ. ტუბერკულოზის/შიდსის აქტივისტები, საზოგადოების წარმომადგენლები, ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალრები, მკვლევარები და პროგრამის ხელმძღვანელები) იქმნება კომუნიკაციისა და თანამშრომლობის შესაძლებლობა. CE-ს მეშვეობით, ადგილობრივ საზოგადოებებს შეუძლიათ წვდომა ჰქონდეთ და ჩართულები იყვნენ კვლევის დანერგვაში. ამასთან ერთად, მათ შეუძლიათ მიღებული სარგებლის მაქსიმუმამდე აყვანა, მკვლევარებისთვის ადგილობრივი ჯანდაცვის სისტემის ფუნქციების შესახებ რეალური წარმოდგენის შექმნით, რაც ხელს უწყობს კვლევის წარმატებულად დასრულებას. CE საზოგადოებებში აუმჯობესებს კვლევის დონეს, აგებს მდგრად პარტნიორობას და კვლევის მიზნებს შემატებს ლეგიტიმურობას. საბოლოოდ, ამგვარი ჩართულობა როგორც წესი გამოიწვევს კვლევის შედეგების ადვოკატირებას და ხელს შეუწყობს კვლევის შედეგების დანერგვის ლეგიტიმურობას ჯანდაცვის სფეროში. ეს გეგმა აღიარებს ტუბერკულოზის 2012 წლის მედიკამენტის კვლევების კარგი პრაქტიკის და წესების დაცვის პრინციპებს.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ტუბერკულოზის წინააღმდეგ CE ზომებს უწევს რეკომენდაციას იმისათვის, რათა გააძლიეროს დაინტერესებული პირების ვალდებულება პრევენციის, დიაგნოსტიკის, მნკურნალობის და მოვლის მიმართ წვდომის გაუმჯობესებისთვის. ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კავშირი (The Union), REDE-TB (ტუბერკულოზის მკვლევარების ბრაზილიური ქსელი) და სხვა პარტნიორები მხარს დაუჭრენ CE ძალისხმევას STREAM კლინიკური კვლევისთვის. STREAM 2 სტადიის CE საქმიანობა CE პილოტურ საქმიანობაზეა დამყარებული 1 სტადიაში, კულტურული და ადგილობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

STREAM CE გეგმა CE გამოცდილებაზეა დაფუძნებული და იმ პოლიტიკაზე, რომელიც შეესაბამება გავლენაზე დაფუძნებულ მტკიცებულებას (PROVE IT). ეს კვლევა, რომელმაც შეაფასა ის ხარჯები, რომლებიც ასოცირებულია ახალ ოლიგონუკლეიდურ ანალიზებთან, ნაწილობივ REDE- TB -ს მიერ დაინერგა ფილტვის დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კავშირის მხარდაჭერით. შეიქმნა ადგილობრივი დაინტერსებული პირების საზოგადოებრივი რჩევის საბჭო (CAB) ბრაზილიის ყოველ ცენტრში იმისათვის, რათა გაზიარებულიყო კვლევის განვითარება და მომხდარიყო პრობლემების გადალახვაში დახმარება. ეს CABs წარმატებული იყო CE-ს არსებული კულტურის, პოლიტიკურ ფორუმებთან და კომიტეტებთან ახლო კონტაქტის, ადგილობრივი ექსპერტიზის, ჯანდაცვის სისტემების ფუნქციის ცოდნის და დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობის გამო.

მიზნები

მოკლევადიანი	• საზოგადოების საჭიროების შეფასება და MDR-TB კვლევაში ჩართულობის შესაძლებლობები • CE მექანიზმის ჩამოყალიბება (მაგ. CAB)
საშუალო ვადის	• საზოგადოების წარმომადგენლებსა და მკვლევარებს შორის კომუნიკაციის და თანამშრომლობის გაუმჯობესება • საზოგადოების წარმომადგენლების მკურნალობის და კვლევის შესახებ ცოდნის გაუმჯობესება • საზოგადოების წევრების მიერ კვლევის დროს რეკომენდაციების მიცემის საშუალება და კვლევის დროს პრობლემების გადალახვა
გრძელვადიანი	• ადგილობრივი კვლევის დროს საზოგადოების მონაწილეობის მდგრადი კულტურის დამყარება • ჯანდაცვის სისტემაში კვლევის შედეგების დანერგვის ადვოკატირება • ადგილობრივი CE გამოცდილების გლობალურად გაზიარება

საქმიანობა

ეს გეგმა გულისხმობს ადგილობრივ კულტურაზე მორგებულ სრულ საზოგადოებრივ ჩართულობას და ადგილობრივი ექსპერტიზის სრულ გამოყენებას კვლევის დანერგვის მიზნით. შეიძლება ყველა საიტმა ვერ შეძლოს CE ოპტიმალური მოდელის დანერგვა, განსაკუთრებით იქ, სადაც ადრე CE საქმიანობას არ ჰქონია ადგილი. თუმცა, ყველა კვლევის საიტს შეუძლია ამ გეგმისგან ინფორმაცია მიიღოს, სხვა ცენტრებში დოკუმენტირებული პროგრესიდან და როგორც მინიმუმი, პირველი ნაბიჯები გადადგას წარმატებული CE გამოცდილებისკენ. CE და STREAM ჯგუფები შეაფასებენ ადგილობრივ შესაძლებლობებს, რათა მოარგონ CE ძალისხმევა ყოველ ქვეყანას.

ეზიო ტავორა და REDE-TB იქნებიან მთავარი რესურსი CE-თვის კვლევის განმავლობაში. ამ გეგმის შემუშავების გარდა, CE ჯგუფმა მონღოლეთში ჩაატარა პილოტური პროგრამა, რომლიდან მიღებული გაკვეთილებიც, განსაზღვრავენ მომავალ CE მცდელობებს სხვა STREAM საიტებში (იხილეთ დანართი ა). ჯგუფი ასევე მიმართულებას მისცემს იმ STREAM ცენტრებს, სადაც უკვე დაწყებულია გარკვეული აქტივობები ან რომლებიც სხვა STREAM პარტნიორების მიერ არიან მართული.

CE-ს ოპტიმალური მოდელი შვიდი კონცეფციის გარშემოა ორგანიზებული: სენსიბილიზება, რუქა, ჩართულობა, განათლების მიცემა, შემდგომი მხარდაჭერა, ურთიერთობა და დოკუმენტირება. ის სავარჯიშოები, რომლებიც ერთდროულად ან თანმიმდევრობით ტარდება ერთმანეთს ესადაგება და ამყარებს მუდმივ ძალისხმევას, რათა მიღწეულ იქნას მოკლე, საშუალო ან გრძელვადიანი მიზნები.

1. სენსიბილიზირება

- ჯანდაცვის სამსახურების სენსიბილიზირება (მაგ. ეროვნული TB პროგრამის ხელმძღვანელები (NTP), ადგილობრივი ხელისუფლების პირები და მასში ჩართული პარტნიორები)
- კვლევის წევრების პროგრამის მენეჯერებთან გაცნობა (მაგ. მკვლევარები, ჯანდაცვის პროფესიონალები)

იმის გამო, რომ STREAM CE ჩატარდება სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში, აუცილებელია ადგილობრივ დაინტერესებულ პირებთან გასაუბრება, რათა მათ ახსნან CE მიზნები და სტრატეგია კვლევის საწყის ფაზაში.

ეს საწყისი კონტაქტი STREAM-ს საშუალებას აძლევს:

- დაინტერესებული პირები დაპატიჟოს CE სემინარში მონაწილეობის მისაღებად;
- გააზიაროს სხვა კვლევებიდან მიღებული გამოცდილება და მკვლევართა ჯგუფის მიღწევები
- მოითხოვოს CE-ს განვითარებისთვის მხარდაჭერა და ავტორიზაცია;
- გაიგოს ადგილობრივი ხელისუფლების პირების მიერ დანახული საზოგადოების წარმოდგენის ადგილობრივი დინამიკა და კულტურა;
- შეაფასოს მკვლევარების, ჯანდაცვის პროფესიონალების და ხელისუფლების პირების საზოგადოების წარმომადგენლებთან მუშაობის სურვილი.

2. რუქა

ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების რუქა საშუალებას იძლევა უკეთ გავიცნოთ:

- ადგილობრივი კულტურა და პრაქტიკა;
- საზოგადოების დამოკიდებულება მკვლევარებთან და ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პირებთან;
- ადგილობრივი TB და კვლევის ცოდნა;
- კვლევაში ჩართვის პირობები და სურვილი და შემდგომ CAB ან კომიტეტის დაარსება.

ერთი შეხების წერტილი იქნება გლობალური ფონდის ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოსთან (CCMs) (იმ ქვეყნებში, სადაც ისინი არსებობენ) მათი საერთაშორისო, მრავალსექტორული ბუნების გამო. ის ორგანიზაციები, რომლებიც CCM-ში იღებენ მონაწილეობას იოლად გაიგებენ საზედამხედველო ფუნქციის საჭიროებას და შეიძლება მისი პრაქტიკა ერთ დღეშიც კი დაიწყონ, რადგანაც ეგი CCMs-ის ზოგად მოთხოვნას წარმოადგენს. საზოგადოების წარმომადგენლები TB ცოდნის ყველა დონეზე ან კვლევის მცოდნეები წახალისდებიან STREAM CE -ში მონაწილეობის მისაღებად.

3. ჩართვა

- პირველი ადგილობრივი ვორკშოპი
- პირველი ადგილობრივი სემინარი

პირველ ადგილობრივ ვორკშოპზე საზოგადოებრივი აქტივისტები და იმ ხალხის წარმომადგენლები, რომლებსაც შეეხო ტუბერკულოზის პრობლემა, ატარებენ ბრეინსტორმინგს და თანხმდებიან იმ გზებზე, რომლებიც მათ STREAM-ში მონაწილეობას გაუწევს პრომოციას. სემინარზე დაინტერესებულ პირებს მოეთხოვებათ გაიგონ და მხარი დაუჭირონ საზოგადოების კვლევაში მონაწილეობას. სემინარის ბოლოსთვის დაინტერესებული პირები შეთანხმდებიან CE-ს მოდელზე, სადაც CAB ერთ-ერთი არჩევანი იქნება.

4. განათლება

- TB ზოგადი და კვლევის ჩატარების ვორკშოპი
- წლიური ტრენერების ტრეინინგი (ToT)
- CAB-ის ან რეგულარული შეხვედრების მეშვეობით განათლება

TB და კვლევის განათლება მნიშვნელოვანია ინტერესის გაზრდისთვის და კვლევის და მისი მიზნების გაგებისთვის. პირველი ვორკშოპი და სემინარი TB და ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლების კვლევის ცოდნის მიხედვით იქნება ორგანიზებული.

კვლევის ცენტრებს შორის რეგულარული კავშირი საზოგადოების (ან CAB) კოორდინატორებს საშუალებას მისცემს ყოველი STREAM ცენტრიდან გაზარდონ უნარები და ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარონ. ეს ინფორმაციის გაცვლა შეიძლება მოხდეს ინტერნეტით ან პირისპირ.

ვინაიდან CE ჯგუფი მუდმივ მხარდაჭერას გაუწევს ადგილობრივ კოორდინატორებს, საზოგადოებებს მოეთხოვებათ გაზარდონ თავიანთი ცოდნა TB-ს, კვლევის და STREAM კვლევის შესახებ.

5. შემდგომი კონტროლი

- ადგილობრივი წარმომადგენლების მხრდაჭერა
- CAB კოორდინატორები; საიტებს შორის სწავლება
- შემდგომი შეფასება

CE ჯგუფი და კავშირის პარტნიორები მოახდენენ STREAM ცენტრების შემდგომ კონტროლს სკაიპის, ელ-ფოსტის და სხვა ონლაინ ფლატფორმების მეშვეობით, რათა მხარი დაუჭირონ კვლევებისთვის მიმდინარე CE ძალისხმევას და საზოგადოებრივი საქმიანობის ზრდას (მაგ. CABs ან ჩვეულებრივი შეხვედრები). ადგილობრივი საზოგადოების კოორდინატორები მოახდენენ პრობლემების და მიღწევების მუდმივ ანგარიშს და მოახდენენ გამოსავლის კოლექტიურ სტრატეგირებას, სადაც ცენტრების მომავალში დასახმარებლად CE ჯგუფი ან პარტნიორები ჩაატარებენ შემდგომ

6. ურთიერთობა

ხშირი შეხვედრები შედეგების ანგარიშგების და წარდგენისთვის. საზოგადოებრივი წარმომადგენლები წახალისდებიან, რათა მოახდინონ პროგრესის და შედეგების ანგარიშგება ფორუმებზე, მაგალითად წლიური ფილტვის დაავადებასთან ბრძოლის კავშირის კონფერენციაზე. კონფერენცია იდეალური საშუალებაა CE ძალისხმევის წარსადგენად და წარმომადგენლებისთვის საშუალების მისაცემად მიიღონ ინფორმაცია საზოგადოების, პოლიტიკის და კვლევის გამოცდილების შესახებ მთელი მსოფლიო მასშტაბით.

7. დოკუმენტირება

STREAM-ში CE გამოცდილების პუბლიკაცია. STREAM CE-ის შედეგები უნდა იყოს კარგად დოკუმენტირებული და დაბეჭდილი, რათა მოხდეს CE საუკეთესო პრაქტიკის აფიშირება MDR-TB კვლევების დროს.

დანართი ა

მოღოლეთის CE საპილოტო პროექტი: მონღოლეთის STREAM CAB

შესავალი ინფორმაცია

ქვეყნის დედაქალაქ ულანბატარში თავმოყრილია დაახლოებით 46% (20151წელს 1.377 მილიონი) მონღოლეთის მოსახლეობა (დაახლოებით 2.993 მილიონი 20151წელს). STREAM -ის 2 სტადიის ცენტრი მოთავსებულია ულანბატარის ჯანდაცვის სამინისტროს (MOH) ეროვნულ ინფექციურ დაავადებათა დეპარტამენტში (NCCD) რომელსაც TB ეროვნულ საცნობარო ბიბლიოთეკის ლაბორატორიის პარტნიორია. 2014 წლის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით იყო 5,000 ახალი შემთხვევა, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის 170/100,000.2 2007 წლის მედიკამენტის რეზისტენტულობის ეროვნული კვლევის მიხედვით ყველა TB შემთხვევისას იყო დაახლოებით 1.4% MDR 2 თუმცა იმ 27 ქვეყნებში არა, სადაც MDR-TB მაღალი რაოდენობაა,3 წლიური 225 MDR-TB ახლად დიაგნოზირებულ და იმ შემთხვევებში, (რომლის გამოთვლა 2014 წელს მოხდა)4 რომელიც წარმოადგენს მაღალ რისკს იმ ქვეყანაში, სადაც ამ დონის TB შემთხვევა და სხვა მწვავე სასუნთქი გზების პრობლემები ჰაერის დაბინძურებისგან და ცხოვრების დაბალი სტანდარტებიდან გამომდინარეობს.5 STREAM-ის 2 სტადიის CE პილოტირებული იყო მონღოლეთში 2015 წლის ბოლოს REDE-TB და კავშირს შორის შეთანხმების საფუძველზე.

მიზნები

ამ საპილოტო პროგრამის მიზნები იყო კვლევის უკეთ გაცნობა, კვლევის და მკურნალობის ცნობადობის გაუმჯობესება და ჩართულობის და ადვოკატურის რეკლამირება კვლევის შედეგების მიხედვით ახალი პრაქტიკის და მკურნალობის გაიდლაინების შემუშავებით. ეს გაკეთდა საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვით და ადგილობრივად მართული CAB-ის ორგანიზებით.

საქმიანობა

პილოტური პროგრამის CE საქმიანობა შეიძლება ოთხ ნაწილად დავყოთ:

1) დაინტერესებული პირების მოძებნა, შეხვედრა და ჩართვა;

2) ტრეინერების ტრეინინგი და საზოგადოების წევრებთან მესიჯის გაგზავნა, იმავდროულად ტექნიკური ენის თავის არიდება;

3) CE ვორკშოფისა და სემინარის მეშვეობით მოვლენების უზრუნველყოფა; 4) CAB შეხვედრებზე გადაწყვეტილების მიღება. შემუშავდა გეგმები. რათა HIV/AIDS ექსპერტიზა გამოყენებული ყოფილიყო საზოგადოების მობილიზაციისთვის და ასევე ადგილობრივი გლობალური ფონდის CCM თან მცდელობების ინტეგრაციისთვის.

კარტირებით აღმოჩნდა, რომ TB-HIV არ ითვლება მწვავე საკითხად HIV/AIDS დაბალი შემთხვევადობის გამო. დაინტერესებული პირებისთვის ტუბერკულოზზე განათლების მიცემამ მკვეთრად გაზარდა CAB მონაწილეობა 2005 წლის დეკემბერში. მონღოლეთში საზოგადოების მობილიზება დასტრუქტურებულია საზოგადოების ჯანდაცვის თანამშრომლების მიერ, რომლებიც DOT-ს წარადგენენ და ავრცელებენ ინფორმაციას. TB ორგანიზაციები დაპატიჟეს TB მკურნალობის და კვლევის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, რომელიც აცნობდა STREAM-ს და ასევე მათ მიუწოდებდნენ თავიანთი საკუთარი შეხვედრის ფორმატის დამყარებას. შეიქმნა სპეცალური ჯგუფი, რომელიც დაფუძნდა კვალიფიცირებული ინდივიდების მიერ, რომელთაგანაც ზოგიერთს TB CAB გამოცდილება ჰქონდა.

CE ჯგუფმა მიმართა CCM-ის სამდივნოს და პრინციპულ მიმღებ ოფისებს, რომლებიც ამას მხარს უჭერდნენ, აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას სესიებში და ეხმარებოდნენ მონაწილეთა მობილიზებას. როგორც NCCD-ის პარტნიორი STREAM-ის დანერგვისას და ასევე მონღოლეთის CCM-ის ვიცე თავმჯდომარე, მონღოლეთის TB კოალიცია (MTC) წარმოადგენს იმ ჯანდაცვის პროფესიონალების ასოციაციას, რომლის სათავეშიცაა დოქტორ ნარანბატი, ყოფილი NTP მენეჯერები, რომლებსაც 10-ზე მეტი წლის

1 მსოფლიო ფაქტების წიგნი 2013-14. ვაშინგტონი: ცენტრალური დაზვერვის სააგენტო, 2013წ. https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/ mg.html
2 TB გლობალური ანგარიში 2015წ. ჟენევა: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2015წ. http://apps.who.int/iris/bitstre am/10665/191102/1/9789241565059_eng.pdf, გვ.159, გვ.183
3 TB მაღალი შემთხვევების ქვეყნების სია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, პოსტ-2015 წლის პერიოდი.
ჟენევა: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2015 წ. http://www.who.int/tb/publications/ global_report/ high_tb_burdencountrylists2016-2020.pdf
4 მონღოლეთის ტუბერკულოზის პროფილი. ჟენევა: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2014წ. https://extranet.who. int/sree/Reports?op=Replet&name=%2FWHO_HQ_ Reports%2FG2%2F- PROD%2FEXT%2FTBCountryProfile&ISO2=MN&LAN=EN&outtype=pdf
5 SAIJAA N. "ჰაერის დაბინძურება და ჯანდაცვა – ულანბატარი, მონღოლეთის ქალაქი". ულანბატარი: გარემოსდაცვითი ჯანდაცვა და ადამიანთა ეკოლოგიის ცენტრი, საჯარო ჯანდაცვის და ადამიანური ეკოლოგიის ცენტრი, საჯარო ჯანდაცვის ინსტიტუტი, , 2010წ. http://www.mongolhealthnetwork.org/presentations/2010/1009_ ჰაერის დაბინძურება და ჯანდაცვა_ინგლისური_HROs_შეხვედრა_092910_01.ppt

სტაჟი აქვთ. იმისდა მიუხედავად, რომ MTC წარმოადგენს პატარა ორგანიზაციას, დოქტორ განხუმ დიდი როლი ითამაშა ადგილობრივ ორგანიზაციებთან უერთიერთობის მხრივ და პირადად დაეხმარა საქმიანობის ორგანიზებასა და კოორდინაციას.

CE ჯგუფმა მოინახულა მრავალი ინსტიტუტი და ორგანიზაციები, რომლებიც STREAM CE პილოტურ პროგრამა გააცნო მონღოლეთში და ასევე შემდეგ დაინტერესებული პირები დაპატიჟა ვორკშოპში და სემინარში მონაწილეობის მისაღებად:

1. ეროვნული ინფექციურ დაავადებათა დეპარტამენტი, NCCD, რომელიც პასუხს აგებს მონღოლეთში STREAM-ზე
2. MTC ჯანდაცვის პროფესიონალების ასოციაცია რომელსაც NTP მენეჯერი უდგას სათავეში
3. NTP
4. MATA, ყველაზე დიდი ჯანდაცვის არასამთავრობო ორგანიზაცია ქვეყანაში, მომსახურების გაწევისთვის
5. CCM მონღოლეთში
6. მონღოლეთის დანერგვის სამსახური გლობალური ფონდის გრანტებისთვის
7. MSM და TG საზოგადოებრივი ცენტრი (მთავარი LGBT და AIDS ორგანიზაცია მონღოლეთში)
8. ოჯახური ჯანდაცვის პრაქტიკოსების ასოციაცია
9. ვორლდ ვიჟენ (მუშაობს TB საკითხებზე ციხეებში და უსახლკაროებთან)
10. უბნის ჯანდაცვის განყოფილებები და საავადმყოფოები, რათა ისინი მოხალისეებს გაესაუბრონ და გაუწიონ მათ მომსახურება

მეორე კვირის განმავლობაში დაინტერესებული პირები შეხვდნენ ინტერაქტიული ვორკშოპის ჩასატარებლად, რომლის შინაარსიც უკვე იქნა განხილული, შეთანხმებული და მონღოლურად გადათარგმნილი. ფასილიტატორებს ასწავლეს მარტივი, ინტერაქტიული ტექნიკის გამოყენება იმისათვის, რათა თავიდან აერიდებინათ ტექნიკური ენის გამოყენება, მონაწილეების მეირ ადვილად გაგების მიზნით. ზოგჯერ იქნა გამოყენებული ხარისხობრივი ახსნა-განმარტება რიცხვების და სტატისტიკის მაგივრად. ერთ შეცდომას წარმოადგენდა ის, რომ თარჯიმნის აყვანა მხოლოდ ტრეინერების ტრეინინგისთვის მოხდა თარჯიმნის ინტერვიუს და შესარჩევად გამოყოფილი მცირე დროის გამო. იმისდა მიუხედავად, რომ თარჯიმანი კარგად ფლობდა ენას, მას მთლიანად არ ესმოდა და ვერ იღებდა მონაწილეობას მოვლენების დროს საუბარში.

ვორკშოპი ჩატარდა 2015 წლის 18 და 19 ნოემბერს. პირველი დღე მიძღვნილი ჰქონდა გაცნობას: 1) მიზნები და გეგმა, 2) ტუბერკულოზი: ინფექცია, დაავადება და მკურნალობა, 3) MDR-TB: ფორმები და მკურნალობა, და 4) STREAM კვლევა. მონაწილეთა ცოდნის შეფასება თემების დარგში ჩატარდა პირველი დღის დასაწყისში და ბოლოს ცოდნის შესამოწმებელი და შემდგომი ტესტების მეშვეობით. ტესტის შედეგებმა აჩვენა მიახლოებითი 40%-დან 80% ზრდა იმ შეკითხვების მიმართ, რომელთაც სწორი პასუხი გაეხათ. მეორე დღე გამოიყენებოდა: 1)კვლევის გარშემო საზოგადოებრივი ჩართულობის ფორმატების გასაცნობად

2) სურვილი შემდგომ კონტროლში ჩართვისთვის, და 3) STREAM შემდგომი კონტროლის მოდელი. მონღოლეთის STREAM ჯგუფი და MTC თანამშრომლები მხარს უჭერდნენ ყველა მასთან დაკავშირებულ სავარჯიშოს, მათ შორის დასწრების მართვას და სატრანსპორტო ხარჯების განაწილებას.

ორდღიან საზოგადოებრივ ვორკშოპს დაესწრო 56 ადამიანი, მათ შორის ადგილობრივი ფასილიტატორები და მის შედეგად ჩამოყალიბდა ოთხი სამუშაო ჯგუფი. ინტენსიური დისკუსიების შემდეგ დაინტერესებული პირები შეთანხმდნენ CAB გეგმაზე. წევრები შეთანხმდნენ თვიურ მთავარ CAB შეხვედრებზე 10 მთავარი მონაწილით STREAM ოფისში, რათა შემცირებულიყო ხარჯებიდა მომხდარიყო კვლევის ცენტრის პროფესიონალებთან ცენტრებში გასაუბრება. ზოგადი CAB შეხვედრა უნდა ჩატარდეს წელიწადში სამჯერ, რათა მოხდეს მკურნალობა და კვლევის შესახებ განათლება, ასევე შედეგებზე ინფორმაციით უზრუნველყოფა. წევრები ასევე შეთანხმდნენ, რომ MTC უნდა მდგარიყო STREAM CAB-ის სათავეში და დანიშნეს დოქტორ განხუ კოორდინატორად.

STREAM საზოგადოებრივი ჩართულობის სემინარი ჩატარდა 2015 წლის 20 ნოემბერს და მას 94 ადამიანი დაესწრო. NTP მენეჯერმა და MoH & Sports-ის წარმომადგენლება, ასევე განათლების სამინისტრომ წამოიწყეს სემინარი. STREAM წარმოადგინეს და მონაწილეებს გაეცნოთ CE საფუძვლები და გლობალური CAB გამოცდილება. საზოგადოების წევრებმა ოთხი სამუშაო ჯგუფის შედეგები ჩააბარეს. მონაწილეები ჩაერთვნენ დისკუსიაში, რომელიც ორგანიზებული იყო ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის და სამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც მუშაობდნენ STREAM მონღოლეთის CAB-ზე. ბოლო შენიშვნები სამთავრობო პირების მიერ შეეხებოდა მას, რომ STREAM CE ესადაგებოდა NTP CE მიზნებს და CE პროცესს.

პირველი მთავარი CAB შეხვედრა ჩატარდა 2015 წლის 23 ნოემბერს, რომელსაც ესწრებოდა ცხრა დამსწრე STREAM ოფისში მას მერე, რაც გადაწყდა კვლევის დროულად დამტკიცების მხარდაჭერის სტრატეგიები. მოხდა წინა მოვლენების შედეგების და CE ჯგუფის საჭიროებების განხილვა. პირველი ზოგადი CAB შეხვედრა ჩატარდა 2015 წლის 10 დეკემბერს 30 მონაწილისთვის, მათ შორის ფასილიტატორებისთვის. იყო ინტენსიური ანალიზი პაციენტების კითხვარის და ინფორმირებული თანხმობის ფორმის შესახებ. სხვა კვლევის დეტალების განხილვა მონაწილეებს შორის მოხდა.

treat TB

ტექნოლოგია, კვლევა, განათლება,
და ტუბერკულოზის ტექნიკური დახმარება

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

The Union
International Union Against Tuberculosis and Lung Disease
Health solutions for the poor

REDE-TB
Rede Brasileira de Pesquisas em Tuberculose
Brazilian Network of Tuberculosis Research

MRC Clinical Trials Unit

UCL

ჩანახატები ბრედ გიგარის მიერ

Vital Strategies
AN AFFILIATE OF THE
International Union Against Tuberculosis and Lung Disease

TREAT TB მხარს უჭერს USAID ერთობლივი შეთანხმება
GHN-A-00-08-00004-00